27/11/2024

MES 0 24 0001529039

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქალაქი თბილისი, 13/11/2024
სხდომის დაწყების დრო: 10:00 საათი
დასრულების დრო: 11:49 საათი
სხდომის თავმჯდომარე: კახა შენგელია
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2024 წლის 13 ნოემბერს**.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი - **საბჭოს თავმჯდომარე**;
2. **ზურაბ ორჯონიკიძე**- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
3. **დავით ლეშკაშელი**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **მამუკა ხუსკივაძე**- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
5. **მიხეილ გურგენიძე**- შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოშიასისტენტ-პროფესორი;
6. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **სერგო ჭელიძე**- შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ს პროფესორი;
8. **ქრისტინა რზგოევა**- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
9. **გაიანე სიმონია**- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
10. **კონსტანტინე სირბილაძე**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

11. **ნინო ჩინჩალაძე**- ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
12. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
13. **ივანე ჯაგოდნიშვილი**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
14. **ემილ ავდალიანი**- შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;
15. **სალომე კუჭუხიძე**- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოსმოწვეული წევრები:

1. **გია ლობჟანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
2. **ჯილდა ჭეიშვილი -** საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;
3. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
4. **ეკა ბოჭორიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
5. **ნინო გაგუა** - შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ სტუდენტი;
6. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
7. **კახაბერ ვანიშვილი** -შპს "მედ-დიაგნოსტიკის" სამედიცინო ცენტრის დირექტორი;
8. **დავით თოთაძე -** შპს „ჯეო ჰოსპიტალსის - თბილისის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორი;
9. **ზვიად კირტავა** -შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" პროფესორი;
10. **ივანე ჩხაიძე** -კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების,შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
11. **ხათუნა ზალდასტანიშვილი**- სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
12. **დავით კობეშავიძე**- შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
13. **ნინო შარიქაძე** - შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. **გიორგი ირემაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
2. **ნანა კავლელაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
3. ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს - კავკასიისსაერთაშორისოუნივერსიტეტი

1. კახაბერ კორძაია - რექტორი;
2. ვახტანგ წივწივაძე - კანცლერი;
3. ნინო ჭალაგანიძე - აკადემიური პროცესის მიმართულებით კანცლერის მრჩეველი;
4. მარინა გედევანიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. თამარ ინასარიძე - ვიცე-რექტორი სასწავლო დარგში;
6. ირაკლი წივწივაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი;
7. სესილი გოგიბერიძე - სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი;
8. შორენა ქურდაძე - სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
9. მაგდა თორთლაძე - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
10. ზაზა ხაჭიპერაძე - მედიცინის ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამების ხელმძღვანელი;
11. ჯოვანა აბლოთია - აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე;
12. თამარ ქავთარაძე - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
13. სვეტლანა კირაკოსიანი - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):

1. იოხენ ციმერმანი (Jochen Zimmermann) - (თავმჯდომარე);
2. მიჰაი ბოროში (Mihaly Boros) - (თანა-თავმჯდომარე);
3. შოთა ფოთოლაშვილი;
4. ია ფანცულაია;
5. ანა გვრიტიშვილი;
6. ხათუნა საგანელიძე;
7. მარიამ გორგოძე;

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 10:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ კახა შენგელიამ.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული

წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- კი.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- კი.
- თვითაცილება განაცხადა სერგო ჭელიძემ. აცილების საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან
მიმართებით.
საერთაშორისო ექსპერტი, იოხენ ციმერმანი (Jochen Zimmermann), ავტორიზაციის საბჭოს არ ესწრებოდა, თუმცა მან გამოაგზავნა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის დაფიქსირების შესახებ ვიდეოჩანაწერი, რომელიც საბჭოს სხდომაზე იქნა გამოქვეყნებული. იოხენ ციმერმანმა, ჩანაწერის შესაბამისად, განაცხადა, რომ მთლიანი შთაბეჭდილება დაწესებულების შესახებ იყო პოზიტიური. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

იმსახურებს ავტორიზაციას, თუმცა არსებობს გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება დაწესებულების მიერ ძალიან მნიშვნელოვანია. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც დაწესებულებას დაეხმარება განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტმა, შოთა ფოთოლაშვილმა აღნიშნა, რომ ჯგუფი სრულად იზიარებს იოხენ ციმერმანის განცხადებას. მან მადლობა გადაუხადა ინსტიტუციას მუშაობის პროცესში კოლეგიალური და პროდუქტიული გარემოს შექმნისთვის.
საერთაშორისო ექსპერტმა მიჰაი ბოროშმა (Mihaly Boros) აღნიშნა, რომ ზოგადი შთაბეჭდილებები კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ არის ძალიან კარგი. ვიზიტამდე ჯგუფი თვითშეფასების ანგარიშის ჩათვლით გაეცნო უამრავ დოკუმენტაციას, რომლებშიც იყო მოცემული ძალიან დიდი ინფორმაცია. ჯგუფმა სამუშაო გადაინაწილა როლების მიხედვით, მათ შორის, მისი როლი იყო უნივერსიტეტის სამედიცინო სპეციფიკის შეფასება. მიჰაი ბოროშმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ არ შეიტანა ცვლილებები რეკომენდაციებსა და რჩევებში, თუმცა ასევე ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტს ვიზიტის მიმდინარეობისას უკვე დაწყებული ჰქონდა მუშაობა ბევრ საკითხზე და შესაქებია ყველა ის აქტივობა, რომელიც ემსახურება რეკომენდაციების შესრულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, კახაბერ კორძაია, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა როგორც ექსპერტთა ჯგუფს, ისე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გაწეული შრომისთვის და იმ კეთილგანწყობილი და განმავითარებელი გარემოსათვის, რომელიც მათ შექმნეს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა ისაუბრა რეკომენდაციების თაოპბაზე და აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმების შეფასებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. მისი თქმით, უნივერსიტეტის დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტების თანახმად უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართული არიან უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. მიუხედავად ამ ჩანაწერისა დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას და მომავალში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ფორმალიზების მიზნით, თითოეული დაინტერესებული მხარისთვის შეიქმნება კითხვარები, სადაც ისინი დააფიქსირებენ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებაზე დაკვირვების შედეგებს და ამავდროულად იმსჯელებენ რომელიმე მიმართულების თუ პუნქტის შესრულების ხელისშემშლელ პრობლემებსა და მათში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.
მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ციფრული მონიტორინგის გაუმჯობესებას. მისი თქმით, თვითშეფასების ანგარიშის მე-18 გვერდზე ნათქვამია, რომ ამჟამად კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მუშაობს ავტომატური მონიტორინგის სისტემის შემუშავებაზე, რაც შესაძლებელს გახდის ყველა სამსახურის მიერ არსებულ მონაცემებზე რეალურ დროში წვდომას და აქტივობების შესრულების ზუსტი სტატუსის დანახვას. ექსპერტები დასკვნის პროექტში ამ საკითხთან დაკავშირებით წერენ, რომ „კსუ“-ს ჩამოყალიბებული აქვს ძლიერი მექანიზმები მისი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შესაფასებლად. ასევე, როგორც უწყვეტი გაუმჯობესების ვალდებულების ნაწილი, უნივერსიტეტი ავითარებს ავტომატური მონიტორინგის სისტემას, რომელიც საშუალებას მისცემს რეალურ დროში დააკვირდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიზნების პროგრესს. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, უნივერსიტეტის მხრიდან გაჟღერებული იქნა, რომ

ავტომატიზებული მონიტორინგის სისტემის დანერგვის მიზნით, ციფრული სერვისების განვითარების სამსახურის მიერ უკვე მომზადებულია ე.წ. „ტექნიკური დავალება“, რაც ასევე ასახულია 2024 წლის სამოქმედო გეგმაში. რაც შეეხება, იმავე გვერდზე ჩანაწერს, რომ „მომავალში უნივერსიტეტი გეგმავს ამ სისტემის დანერგვას, რაც უფრო ეფექტურს გახდის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგს“, ეს მომავალი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის თანახმად, 2025- 2027 წლებია. შესაბამისად, ის, რასაც უნივერსიტეტი წერს 2025-2027 წლებში განსახორციელებელ აქტივობად, არ შეიძლება იყოს ექსპერტთა მხრიდან რეკომენდაციის (ანუ შენიშვნის) საფუძველი. ამრიგად, უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციას არ იზიარებს.

მარინა გედევანიშვილის თქმით, მესამე რეკომენდაცია ეხებოდა საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას. როგორც თავად ექსპერტები წერენ, უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის და გლობალური პარტნიორობის ხელშეწყობის და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით მცდელობები. ამის შესახებ ბევრია ნათქვამი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშშიც. ის, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და გაძლიერება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის ერთ - ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, ნათლად ჩანს როგორც 2024 და 2025 - 2027 წლების სამოქმედო გეგმებში, ისე 2018-2024 და 2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმებში, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაში. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს თვალსაჩინო შედეგები კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით როგორც ინსტიტუციურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე. უნივერსიტეტს მოზიდული აქვს ინსტიტუციური კვლევითი გრანტები სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდებიდან. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მონაწილეობს ჰორიზონტი ევროპის საგრანტო კონკურსებში და აქვს წარმატების გამოცდილებაც. შესაბამისად, თუ უნივერსიტეტი თავად წერს, სამომავლოდ რა აქტივობები აქვს დაგეგმილი საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა და პროცესების გასაძლიერებლად, რატომ უნდა იყოს ეს ექსპერტთა მხრიდან რეკომენდაცია (ანუ შენიშვნა), დაწესებულებისათვის გაუგებარია.

მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის მასშტაბით დამოუკიდებელი ეთიკის საბჭოს ჩამოყალიბებას, ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით. დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი, რომ ამჟამად უნივერსიტეტი მუშაობს ეთიკის საბჭოს შექმნაზე, რომლის მიზანი იქნება სტუდენტების, დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა ეთიკის საკითხებზე, სწავლა-წავლებისა და კვლევის პროცესში. უნივერსიტეტში მოქმედებს კვლევების ეთიკის პოლიტიკა. ასევე, შექმნილია ეთიკის საბჭოს დებულება და მიმდინარეობს საბჭოს წევრების შერჩევის პროცესი. ამიტომ, უნივერსიტეტი ვერ დაეთანხმება რეკომენდაციას იმასთან დაკავშირებით, რაზეც მუშაობა უნივერსიტეტს ჯერ კიდევ მანამდე ჰქონდა დაწყებული, ვიდრე ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდებოდა.

მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-19 მუხლის მიგნებების მიხედვით შესწორებას. მარინა გედევანიშვილის თქმით, უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნა, რომ ეს ეხებოდა არა მე-19 მუხლის, არამედ მე-9 მუხლის მეთორმეტე პუნქტთან დაკავშირებით შესწორებას, რომელიც სტუდენტთა შეფასებას ეხებოდა. დაახლოებით 2022 წელს მედიცინის ფაკულტეტის პროფესორებმა რექტორს მიმართეს თხოვნით, რომ უფლება მიეცა ისეთი სტუდენტების დასკვნით გამოცდაზე არდაშვების, რომლებიც მეცადინეობების 50%-ს ან კიდევ უფრო მეტს გააცდენდნენ. დასკვნით გამოცდაზე არ დაშვება ნიშნავდა საგნიდან დარეგისტრირების მოხსნას ანუ სტუდენტი ვალდებულია თავიდან გაიაროს ეს საგანი შესაბამისად, ამ ჩანაწერის შემდეგ ეს პროცესი დარეგულირდა მე-9 მუხლის მე-12 ჩანაწერში. მე-9 მუხლის მე-16 პუნქტი აღარ არსებობს მარეგულირებელ წესში. დაზუსტებულია მე-9 მუხლის მე-19 ჩანაწერი. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს რამდენიმე ჩანაწერი მარეგულირებელ წესში არ უშლიდა ხელს სწავლის შედეგების მაღალ დონეზე შეფასებას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს

შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების არაერთი მექანიზმი. დაწესებულებას გარდა იმისა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმები აქვს შემუშავებული, ყველა სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ფასდება თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი „გაუსის მეთოდით“. ამჟამად ახალი მეთოდის შემუშავების პროცესში ვართ, რადგან მცირერიცხოვან ჯგუფებში „გაუსის მეთოდი“ არ მუშაობს ეფექტურად. გარდა ამისა, დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთებს ანგარიშებს. ასევე უნივერსიტეტი აფასებს იმას თუ სტუდენტების რა რაოდენობამ მიაღწია სწავლის შედეგებს, რომლისთვისაც მექანიზმებში დანერგილია სამიზნე ნიშნულები. შესაბამისად, თუ სტუდენტთა 75% და მეტი გადის სწავლის შედეგზე, მაშინ ის ერთი ან ორი სტუდენტი, რომელიც დასკვნით გამოცდაზე არ იქნება დაშვებული, ვერ უნდა უშლიდეს სწავლის შედეგების უფრო უკეთესად შეფასებას.

მარინა გედევანიშვილის თქმით, მეშვიდე რეკომენდაცია ეხებოდა ისევ მე-9 მუხლის მე-12 პუნქტს. შესაბამისად, აღნიშნულის ცალკე რეკომენდაციად ჩამოყალიბება არარელევანტურია. მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (როგორც ვიზიტზე პასუხისმგებელი პირის) მიერ ექსპერტებისთვის გადაგზავნილ იქნა ექსპერტთა მხრიდან მოთხოვნილი მთელი რიგი დოკუმენტები. მათ შორის: „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის ახალი დებულება“, რომელშიც ასახულია დოქტორანტურის ახალი სტანდარტით, 2024 წლის 2 სექტემბერს დამტკიცებული ყველა ცვლილება. ასევე, პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების განსაზღვრის მიზნით, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის ფაკულტეტების დეკანებთან და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებთან შეხვედრის ოქმი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ 2024 წელს სადოქტორო პროგრამებზე მიღება გამოცხადდა და დოქტორანტები ჩაირიცხნენ უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული პრიორიტეტული კვლევების მიმართულებით. ეს ნათლად ჩანს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ჯერ კიდევ 2024 წლის 12 აგვისტოს განთავსებული ინფორმაციით, პრიორიტეტული კვლევებთან და დოქტორანტთა მიღების პირობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაწესებულების მიერ გაზიარებულ არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებულია ხუთივე სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობების ლინკები უნივერსიტეტის პრიორიტეტულ სამეცნიერო მიმართულებებთან ერთად. რაც შეეხება გზამკვლევების შემუშავებას დოქტორანტებისთვის, ასეთი გზამკვლევი უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 2017 წელს იყო შემუშავებული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ექსპერტების მხრიდან რომ ყოფილიყო მოთხოვნა აღნიშნული გზამკვლევის გაზიარების შესახებ, უნივერსიტეტი დაუყოვნებლივ გაუზიარებდა მათ. შესაბამისად, დაწესებულება არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.

მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა მედიცინის ფაკულტეტზე აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდას. მისი თქმით, მედიცინის ფაკულტეტს თვითშეფასების ანგარიშის (115-ე გვერდი) წარმოდგენის დროისათვის აკადემიური თანამდებობაზე ჰყავდა 122 აკადემიური პერსონალი. თანამდებობაზე იყო 94 აფილირებული პროფესორი, 11 პროფესორი, 33 ასოცირებული პროფესორი, 44 ასისტენტ-პროფესორი და 6 ასისტენტი. აფილირებული პერსონალის დათვლისას დასკვნაში ისევ მოიხსენიება, რომ დაწესებულებას 11 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და 33 ასოცირებული პროფესორი ჰყავს. შესაბამისად, ისევ არ არის მოხსენიებული 44 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, მაშინ, როდესაც უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 35-ე მუხლის თანახმად ასისტენტ პროფესორს მოეთხოვება სამეცნიერო ხარისხი, ხოლო „მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის“ თანახმად, ასისტენტ-პროფესორს კლინიკაში მუშაობს ბოლო სამწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონდეს. მან აღნიშნა, რომ ხსენებული 44 ასისტენტ-პროფესორი აკმაყოფილებს მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

მან აღნიშნა, რომ აფილირებულ პროფესორებთან ერთად უნივერსიტეტს ჰყავდა ჯამში 88 ასოცირებული-პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი აკადემიურ თანამდებობაზე (ასისტენტების გარეშე). ექსპერტების ვიზიტამდე უნივერსიტეტს გაკეთებული ჰქონდა ორი

გამოცხადებული ორი კონკრუსი აკადემიური თანამდებობისთვის. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის რაოდენობა 103 გახდა, ნაცვლად 2024 წლის ივლისში არსებული 94-ისა. ვინაიდან უნივერსიტეტსა და აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ბოლო 1 წლის განმავლობაში გაფორმდა (არსებული მემორანდუმებიც დაზუსტდა), ჯერ კიდევ სრულად არ მომხდარა მათი ადამიანური რესურსის სასწავლო პროცესში ჩართვა. ამჟამად მიმდინარეობს ისეთი პერსონალის შერჩევა, ვინც აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნასთან ერთად, უნივერსიტეტთან აფილირებაზეც იქნება თანახმა. ცხადია, უნივერსიტეტი ნათლად აცნობიერებს, რომ სტუდენტთა მზარდი კონტინგენტის, ასევე პროგრამების განვითარებისა და მედიცინის სფეროში კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით, საჭიროა კიდევ მეტი აფილირებული აკადემიური პერსონალი, რაზეც მეტყველებს უნივერსიტეტის მხრიდან ჩატარებული კონკურსები და მოკლე დროში გაზრდილი აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიაჩნია, რომ ის, რაც უნივერსიტეტისთვის არის პრიორიტეტული და რასაც უნივერსიტეტის ისედაც აკეთებს, არ შეიძლება იყოს არსებული რეკომენდაციის საფუძველი. მან აღნიშნა, რომ სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით ექსპერტებმა არასწორი ინფორმაცია დაწერეს დასკვნაში, კერძოდ, ვიზიტის დროს მედიცინის ფაკულტეტის ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე 3370 სტუდენტიდან 970 იყო აქტიური, ხოლო დანარჩენი სტატუსშეჩერებული სტუდენტი. მისი თქმით, 2024 წლის 18 სექტემბრის მონაცემებით, არც უნივერსიტეტის და არაც „Emis“-ის ბაზით ეს რიცხვები არ დასტურდებოდა. შესაბამისად, მედიცინის ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე 781 აქტიური, ხოლო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე 1659 აქტიური სტუდენტი სწავლობდა, რაც ჯამში 2440 აქტიური სტუდენტია. დღეისთვის დაწესებულებას მედიცინის ქართულენოვან პროგრამაზე ჰყავს 780 აქტიური, ხოლო მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე 2204 აქტიური სტუდენტი, რაც ჯამში 2984 სტუდენტია. „Emis“-ის ბაზიდან მიღებული ინფორმაციით ამ რაოდენობას აკლია 18 სტუდენტი. აღნიშნული რაოდენობის სტუდენტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების საფუძველზე 8 ნოემბერს ჩაირიცხა უნივერსიტეტში. რექტორის ბრძანებაც ამავე დღეს გამოიცა, ხოლო ცენტრმა ეს ყველაფერი „Emis“-ს გადაუგზავნა 11 ნოემბერს. იქიდან გამომდინარე, რომ ფაილი დიდ ინფორმაციას შეიცავდა, მათ ვერ მოახერხეს ჯერჯერობით ბაზაში ამ 18 სტუდენტის აღრიცხვა. ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა გამოაგზავნა ცენტრში წერილი და თითოეულ საბჭოს წევრს შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა მას. სტუდენტთა დიდი რაოდენობით მიღებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, კერძოდ, უნივერსიტეტი მოერგო დიდი ბრიტანეთის სამედიცინო გენერალური საბჭოს (GMC) მოთხოვნებს, რაზეც უნივერსიტეტმა 3 წელი იმუშავადა მიზნად ისახავს დიდი ბრიტანეთის საზღვრებს გარეთ მიღებული სამედიცინო განათლების აღიარებას. ასევე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ეგვიპტეში აღიარებული უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გახდა. ეგვიპტეში აღიარება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს აძლევს შესაძლებლობას, გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ, სწავლა გააგრძელოს ან დასაქმდეს ეგვიპტეში. გარდა ამისა, დაწესებულებამ მოიპოვა იორდანიის სახელმწიფოს აღიარება, რამაც განაპირობა იორდანელი მოქალაქეების საკმაოდ დიდი რაოდენობით ჩარიცხვა პროგრამაზე. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერისა და დამფუძნებლის, ვახტანგ წივწივაძის, ქველმოქმედება სახალხოდ არის ცნობილი. ამ ადამიანმა შეღავათები გაუკეთა სირია-პალესტინის სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს, რათა არ ჰქონოდათ საქართველოში სწავლის მიღებასთან დაკავშირებით დაბრკოლება. ასევე, აღსანიშნავია გარე და შიდა მობილობა. შესაბამისად, ეს არის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებმაც განაპირობა სტუდენტთა კონტინგენტის ზრდა. ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ შემდეგს: „ჩვენი რეკომენდაციები და წინადადებები ამ

შემთხვევებში უნდა იქნას გაგებული, როგორც ღირებული დაგეგმვის (ან დაქირავების) ძალისხმევის აღიარება იმ პერსპექტივის უზრუნველსაყოფად, რომ ეს გეგმები (ან ინიციატივები) სწრაფად განხორციელდეს და არ დარჩეს დაგეგმვის ეტაპზე დიდი ხნის განმავლობაში“.
მარინა გედევანიშვილის თქმით, ყოველი სემესტრის ბოლოს თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს კანცლერს და მასთან არსებულ საბჭოს იმის შესახებ თუ რა დავალება შესრულდა ან რა დავალება არ შესრულდა, შემდგომში კი ისახავს შესაბამის გეგმას და ახორციელებს მას.შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არ არის ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სამომავლო საქმიანობას მხოლოდ ფურცელზე წერს და არ ასრულებს. ეს ექსპერტთა დასკვნიდან კარგად გამოჩნდა. ყველა პროცესი, რომელიც უნივერსიტეტის განვითარებას ეხება, დაგეგმილია პერიოდების მიხედვით და მკაცრად კონტროლირებადია.
მიჰაი ბოროშმა აღნიშნა, რომ ჯგუფმა არ გადაწყვიტა რეკომენდაციების ცვლილება, რადგან უნივერსიტეტი უკვე მუშაობდა ბევრ მათგანზე და ორივე მხარის მიზანი თანხვედრაში იყო. ასევე, მისი თქმით, ჯგუფი კარგად გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციას, თუმცა მაინც ხედავს ეთიკის საბჭოს ჩამოყალიბების საჭიროებას, რაც დაეხმარება დაწესებულებას განვითარებაში და იდენტობის ჩამოყალიბებაში.
ავტორიზაციის ექსპერთა ჯგუფის წევრი, ია ფანცულაია, დაეთანხმა მიჰაი ბოროშის მოსაზრებას და დაამატა, რომ საკითხები ფასდება კონკრეტულ მომენტში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით და ეს გახდა გაცემული რეკომენდაციების უცვლელობის მიზეზი. გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან დაამატა, რომ ამჟამად აკადემიური პერსონალისა და აქტიური სტუდენტების შეფარდება არის 1/37-თან და 1061 სტატუსშეჩერებული სტუდენტის მიერ ჰიპოთეტურად სტატუსის აღდგენის შემთხვევაში დაშვებული მაჩვენებელი უარესდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ სამედიცინო პროგრამებში „გაუსის მეთოდი“ არ მუშაობს, რადგან არის ისეთი კომპეტენციები, რომელსაც სტუდენტი 100%-ით უნდა ფლობდეს. მაგალითად, არ შეიძლება კურსდამთავრებულთა 75%-მა იცოდეს წნევის გაზომვა, ხოლო 25%-მა - არა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი მეთოდი მცირერიცხოვანი ჯგუფებისთვის. შესაბამისად, ამ სემესტრის ბოლოს უკვე მოხდება ამ ახალი მეთოდით სწავლის შედეგების დათვლა და პროფესიონალიზმის შეფასება.
საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ზვიად კირტავამ განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნა იყო ძალიან პოზიტიური. დაწესებულების მხრიდან კი ეს პოზიტიურობა აღქმული იყო მძაფრად. ექსპერტთა ასეთი დასკვნის მიზანი იყო მხოლოდ დაწესებულების კიდევ უფრო გაუმჯობესება. უნივერსიტეტის მიდგომა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ კონკრეტული თემის განვითარება, რომელიც სამოქმედო გეგმით არის დასახული და ამ თემაზე აღარ უნდა გაიცეს რეკომენდაცია, მიუღებელია. მაგალითად, ეთიკის საბჭოს მიმართ გაცემული რეკომენდაცია იყო აბსოლუტურად რელევანტური. მან კითხვა დაუსვა ექსპერტთა ჯგუფს. მას აინტერესებდა, თუ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა „Excel“-ის ცხრილი, რომელშიც გაწერილი იყო აფილირებული პროფესორის და აფილირებული ასისტენტ-პროფესორის რაოდენობა, მაშინ რატომ გახდა აუცილებელი ამ საკითხთან დაკავშირებით რჩევის გაცემა.
ექსპერტმა ია ფანცულაიამ აღნიშნა, რომ 44 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი გამორჩენილი არ იყო. დასკვნაში მოცემული იყო მთლიანად აფილირებული პროფესორების რაოდენობა. შესაბამისად, 67 აფილირებულ პროფესორში შედის 44 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი გაცემული რჩევის მოტივაციის, რასაც

წარმოადგენდა 1061 სტატუსშეჩერებული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის ჰიპოთეტურ შემთხვევას, როცა ლექტორებისა და სტუდენტების თანაფარდობა გახდებოდა 1/47-თან.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში, რომელიც უნივერსიტეტმა მიიღო, არ იყო მოცემული 44 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი როგორც ცალკე, ისე ამ 67 აფილირებულ პროფესორში. ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ შემდეგს: „კსუ-ს ჰყავს სულ 704 თანამშრომელი (თვითშეფასების ანგარიში გვ.6) (ადმინისტრაციული, აკადემიური, დამხმარე), საიდანაც აფილირებული პროფესორია 25 (11 - მედიცინა), ასოცირებული პროფესორი - 103 (33 - მედიცინა), ასისტენტ პროფესორი - 67.“ ამრიგად, 44 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი არ არის დამატებული საერთო რაოდენობას. მისი თქმით, თუ 44-ს დაემატება 28 აკადემიური და 9 კონკურსის წესით არჩეული პერსონალი, რომელიც ვიზიტის დასრულების შემდეგ იქნა დამატებული და ამასთანავე, აღსანიშნავია მოწვეული აკადემიური პერსონალიც, მაშინ თავისუფლად ეყოფა სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სტუდენტების იმ რაოდენობას, რომელიც მედიცინის პროგრამაზეა.
საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ზვიად კირტავამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში რელევანტური არ იყო 9 კონკურსის წესით არჩეულ პერსონალზე საუბარი, რადგან მათი არჩევა მოხდა არა ვიზიტამდე, არამედ ვიზიტის შემდეგ. შესაბამისად, ექსპერტებმა აღნიშნეს დასკვნაში ის, რაც ვიზიტის დროს დახვდათ.
მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ამით მხოლოდ ხაზი სურდა გაესვა იმაზე, რომ დაწესებულება მუშაობდა აფილირებული პროფესორების მოზიდვაზე.
საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ჯილდა ჭეიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას 7.1 ქვესტანდარტში მოცემულ საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ შემდეგს: „აღსანიშნავი საუკეთესო პრაქტიკაა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, კლინიკები თავად აფასებენ სტუდენტების კლინიკურ პრაქტიკას. კლინიკებმა დანერგეს ელექტრონული ონლაინ გამოკითხვის სისტემა, რაც საშუალებას აძლევს მენეჯმენტს აკონტროლოს კლინიკური ტრენინგის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.“ მისი თქმით, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს ჰყავს დიდი სტუდენტთა კონტინგენტი. კლინიკები, რომლებთანაც მემორანდუმები აქვს დაწესებულებას გაფორმებული რაოდენობრივად ბევრია. ასევე, ეს კლინიკები თანამშრომლობენ სხვა ინსტიტუციებთან. მას აინტერესებდა, კლინიკები ექსკლუზიურად მხოლოდ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის შემთხვევაში ახორციელებდნენ თუ არა გამოკითხვებს. გარდა ამისა, მას იკითხა თუ როგორ განმარტავდა უნივერსიტეტი აფილირებულ კლინიკას.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ი. ციციშვილის სახელობის კლინიკა არ წარმოადგენს მხოლოდ ბავშვთა კლინიკას. ეს არის ერთადერთი კლინიკა, რომელიც მხოლოდ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს ემსახურება. დანარჩენ კლინიკებთან (კავკასიის მედიცინის ცენტრი, ღუდუშაურის კლინიკა, ევექსი) არსებობს შეთანხმება და ზუსტად არის განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის მიღება. შესაბამისად, ამ უკანასკნელში მოიაზრება აფილირებული კლინიკა. იქიდან გამომდინარე, რომ დარგობრივი მახასიათებელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ ავალდებულებს საკუთარი კლინიკის საკუთრებაში არსებობას საგანმანათლებლო მიზნით, უნივერსიტეტი მომავალში გეგმავს კლინიკის შეძენას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შენდება კორპუსი, რომლის ნახევარი ნაწილი გათვალისწინებული იქნება მედიცინის ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად. კლინიკებში სტუდენტთა დასწრებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დანერგა, აღინიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ეს საკითხი საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნია. დაწესებულებას დასაქმებული ჰყავს ადამიანი, რომელსაც ევალება კლინიკური სწავლების მონიტორინგი. არსებობს სპეციალური ფორმები, რომლითაც ხდება სტუდენტებისა

და ლექტორების გამოკითხვა. თითოეული სტუდენტის მოსაზრება უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დაწესებულებას ძალიან ეხმარება „ევექსის“ კლინიკების ქსელის მენეჯერი, გიორგი ბერია, რომელიც უზრუნველყოფს მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმების გამართულად მუშაობას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:30 საათი.
დასრულების დრო: 11:48 საათი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 7 400-ით განსაზღვრის საკითხი, მათ შორის, დიპლომირებული მედიკოსის (ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 3000 სტუდენტით (2200 - ინგლისურენოვანი პროგრამისთვის, 800 ქართულენოვანი პროგრამისთვის).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 27
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1^1 პუნქტი ს, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (ს/კ: 201951637) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი), ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 7 400-ით, მათ შორის, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 3000 სტუდენტით (2200 - ინგლისურენოვანი პროგრამისთვის, 800 ქართულენოვანი პროგრამისთვის).

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 13 ნოემბერს.

საბჭომ 6.2 კომპონენტში გაცემული ორი რჩევა გადაიტანა რეკომენდაციებში, რამაც გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და ის ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“. შესაბამისად, აღნიშნულმა გამოიწვია სტანდარტის შეფასების ცვლილება და მეექვსე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“.
საბჭომ ცვლილება შეიტანა 2.3 კომპონენტის შეფასებაში და ის ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“. რამაც გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად, „შესაბამისია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

• რეკომენდებულია, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა: უნივერსიტეტისთვის სასარგებლო იქნება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მიდგომის ფორმალიზება, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში გარე პარტნიორების, კურსდამთავრებულების, ინდუსტრიის წარმომადგენლების და საზოგადოების წევრების უფრო სისტემატური ჩართულობით.
• რეკომენდებულია, ციფრული მონიტორინგის გაუმჯობესება: დაგეგმილი ავტომატიზებული მონიტორინგის სისტემა უნდა განხორციელდეს როგორც პრიორიტეტი. აღნიშნული სისტემა გააუმჯობესებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროგრესის მეთვალყურეობის ეფექტურობას რეალურ დროში, რაც უნივერსიტეტს მისცემს შესაძლებლობას სწრაფად უპასუხოს გამოწვევებს და ისარგებლოს შესაძლებლობებით.
• რეკომენდებულია, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება: კსუ-ს შეუძლია გააძლიეროს თავისი გლობალური არსებობა საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის გაზრდით და სტუდენტების მობილობის პროგრამების გაფართოებით. აღნიშნული შემდგომში გააძლიერებს უნივერსიტეტის აკადემიურ და კვლევით რეპუტაციას საერთაშორისო დონეზე და სტუდენტებს მისცემს კულტურათაშორისი ჩართულობის და სწავლის მეტ შესაძლებლობებს.
• რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მასშტაბით ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი ეთიკის საბჭო ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით, რომლის უფლებამოსილებაც გავრცელდება ყველა სამეცნიერო კვლევაზე, იქნება ეს ადამიანების მონაწილეობით თუ არა. რეკომენდებულია, უსდ-მ უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევების გამჭვირვალედ ჩატარება და კვლევის ეთიკის უმაღლესი სტანდარტების დაცვა; შესაბამისად, საბჭოს ფუნქციონირების განმსაზღვრელი რეგულაციები და დოკუმენტები დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებგვერდზე;
• რეკომენდებულია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლი შესწორდეს მიგნებების მიხედვით;
• რეკომენდებულია, მედიცინის ფაკულტეტზე აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა;
• რეკომენდებულია, ან მთლიანად ამოიღოთ წესიდან შემდეგი ჩანაწერი („სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“, მუხლი 9.12) და დაარეგულიროთ აღნიშნული საკითხი უშუალოდ პროგრამების იმ სილაბუსებში, სადაც ის რელევანტურია, ან წესი შეიძლება ხელახლა ჩამოყალიბდეს, იმისათვის რომ დაზუსტდეს თუ რომელ პროგრამებს და სიტუაციებს ეხება აღნიშნული. გარდა ამისა, ფრაზა „გაუუქმდეს რეგისტრაცია შესაბამის საგანზე“ უნდა შეიცვალოს უფრო მკაფიო და გამჭვირვალე ჩანაწერით;
• რეკომენდებულია, განახორციელოთ და დაასრულოთ თვითშეფასების ანგარიშში ჩამოთვლილ ყველა სამეცნიერო და კვლევით აქტივობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სამუშაო, რომელიც მითითებულია როგორც „სამომავლოდ დაგეგმილი“. აღნიშნული მოიცავს: 1) ახალი ყოვლისმომცველი გზამკვლევების შემუშავება დოქტორანტებისა და აკადემიური ლიდერებისთვის, ცალკეულ დოკუმენტებში ხელმისაწვდომი დეტალური ინფორმაციით; და 2) ახალი სტანდარტის ჩამოყალიბება, რომელიც მოითხოვს სადოქტორო პროგრამების განხორციელების მიდგომის შეცვლას, სადაც პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებები განსაზღვრული იქნება ფაკულტეტების მიერ. აღნიშნული პუნქტების გათვალისწინებით, შეთავაზებულია კვლევის განახლებული სტრატეგია, რომელიც ორგანიზებულია ფაკულტეტების, პროგრამების და აკადემიური სემესტრების მიხედვით.
• რეკომენდებულია, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება: მიმდინარე ძალისხმევა კვლევის ინტერნაციონალიზაციაზე ძირითადად ორიენტირებულია ინდივიდუალურ მობილობაზე. საერთაშორისო დაწესებულებებთან ერთობლივი კვლევითი ინიციატივების და

ფორმალური პარტნიორობის ჩამოყალიბებას შეუძლია გააუმჯობესოს კვლევის ხარისხი და კსუ-ს გლობალური პოზიცია. აღნიშნული საერთაშორისო თანამშრომლობების გაძლიერება გადამწყვეტი იქნება კსუ -ს ამბიციისათვის, გახდეს ლიდერი რეგიონში.
• რეკომენდებულია, მდგრადი ჩართულობა კვლევაში: კსუ-ს დანერგილი აქვს კვლვაში მონაწილეობის ქულებზე დაფუძნებული სისტემა, მაგრამ აღნიშნული არაა საკმარისი მაღალი ხარისხის კვლევების წახალისებისთვის. მენტორობის პროგრამების გაძლიერება, განსაკუთრებით დამწყები მკვლევრებისთვის და კვლევის დაფინანსების გაზრდა მაღალი გავლენის მქონე პროექტებისთვის, დაეხმარება აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

რჩევები

• სასურველია, მისიაში გააძლიეროთ კავშირი კვლევასა და განათლებას შორის, რაც უზრუნველყოს, რომ კვლევა თამაშობს ცენტრალურ როლს უნივერსიტეტის იდენტობასა და აკადემიურ შეთავაზებაში.
• სასურველია, უზრუნველყოთ ორიენტაცია ხარისხის კულტურაზე, სწავლებაში, კვლევასა და ადმინისტრირებაში მუდმივი გაუმჯობესებითა და ანგარიშვალდებულებით.
• სასურველია, დააზუსტოთ და გააფართოვოთ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია სპეციფიკური მიზნების ჩამოყალიბებით, რომლებიც დაკავშირებულია გლობალურ პარტნიორობასთან, სტუდენტთა მობილობასა და საერთაშორისო კვლევით თანამშრომლობასთან.
• სასურველია, მისიის ჩამოყალიბების და გადახედვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავოთ უფრო ფორმალური პროცესი, რათა უზრუნველყოთ სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინება.
• სასურველია, გააძლიეროთ უნივერსიტეტის ორიენტაცია მეწარმეობაზე და ბაზრის საჭიროებებზე, დამატებითი პროგრამების და შესაძლებლობების შეთავაზებით, რაც წაახალისებს ინოვაციას და ახალი აქტივობების შექმნას.
• სასურველია, გააფართოვოთ საზოგადოებრივი ცნობადობა: კსუ - ს შეუძლია გააფართოვოს თავისი გავლენა სოციალურ განვითარებაზე საზოგადოების ჩართულობის ძალისხმევის გაძლიერებით, განსაკუთრებით არასათანადო მომსახურების მქონე ტერიტორიებზე და სოფლებში.
• სასურველია, კვლევის ინტეგრაციის გაძლიერება: კსუ - მ უნდა გააგრძელოს კვლევის და სწავლების ინტეგრაციის გაძლიერება, რათა უზრუნველყოს მის საგანმანათლებლო პროგრამებში უახლესი აკადემიური მიღწევების გათვალისწინება.
• სასურველია, ფაკულტეტის განვითარებაზე ორიენტაცია: მიუხედავად იმისა, რომ კსუ - მ მიაღწია პროგრესს აკადემიური პერსონალის განვითარებაში, შესაძლებელია დამატებითი რესურსების გამოყოფა აკადემიური პერსონალის განვითარების პროგრამებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ აკადემიური პერსონალი მუდმივად აუმჯობესებს თავიანთ უნარებს
ინოვაციური სწავლების პრაქტიკის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. წახალისების მექანიზმები, რომლებიც დააჯილდოვებს აკადემიურ პერსონალს კვლევის შედეგების, სწავლების ინოვაციების და სტუდენტების მიღწევებისთვის, შესაძლოა დაეხმაროს აღნიშნულ გაუმჯობესებას.
• სასურველია, შერჩევის და დანიშვნის გამჭვირვალობის გაუმჯობესება: მმართველ პოზიციებზე დანიშვნის პროცესში გარე კოლეგიური შეფასების დანერგვა ან გარე ექსპერტების ჩართვა შერჩევისას გააძლიერებს გამჭვირვალობას და თანასწორობას.
• სასურველია, შესრულების კვლევის მონაცემების გამოყენება: მენეჯმენტს შეუძლია უფრო სისტემატიურად გამოიყენოს შესრულების შეფასების მონაცემები სტრატეგიული შესწორებების და ადმინისტრაციული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

• სასურველია, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება: კსუ-ს ხელმძღვანელობამ შეიძლება გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა სტრუქტურირებული, სტრატეგიული პარტნიორობის განხორციელებით, რომელიც მოიცავს საერთაშორისო დაწესებულებებთან ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების და თანამშრომლობითი კვლევითი ინიციატივების განხორციელებას.
• სასურველია, სამომავლო განვითარების მიზნით, დაწესებულებამ აქტიურად გაზარდოს მოწვეული პერსონალის მონაწილეობა საუნივერსიტეტო საქმიანობაში და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში. აღნიშნული კიდევ უფრო გააძლიერებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს და ხელს შეუწყობს უფრო მჭიდრო ინსტიტუციური კულტურის განვითარებას.
• სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისა და პერსონალისათვის პერიოდულად უზრუნველყოს კამპანიების, კურსების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, პასუხისმგებლიან კვლევასთან დაკავშირებით ეთიკური პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით და ისეთ საკითხების განსახილველად, როგორიც არის ხელოვნური ინტელექტის გამოყენება.
• სასურველია, რეგიონულ საჭიროებებზე ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამების რეაგირების კიდევ უფრო გაძლიერება პროგრამების შემუშავებაში გარე დაინტერესებული მხარეების, კერძოდ, კი კურსდამთავრებულების, რეგულარული ჩართულობის გაზრდით.
• სამედიცინო ფაკულტეტის მიერ მოდულური სწავლების დანერგვის კვალდაკვალ, სასურველია, პროგრამის კომპონენტების ვერტიკალური ინტეგრაციის გაძლიერება და კლინიკური საგნების ლოგიკური თანმიმდევრობის გადახედვა.
• სამედიცინო სასწავლო ლაბორატორიები აღჭურვილია ანატომიის, მიკრობიოლოგიის და ბიოქიმიის საბაზისო პრაქტიკული კურსებისთვის. სასურველია, ამ ლაბორატორიების შემდგომი განვითარებით, ეს ადგილები
გახდეს შესაფერისი კონკრეტული სამეცნიერო კვლევებისთვის, როგორიცაა ნეირომეცნიერებები ან მოლეკულური ბიოლოგიის კვლევები.
• სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს სტუდენტების შეფასების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების დეტალური და ყოვლისმომცველი მიმოხილვა რეგულაციების თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველსაყოფად.
• სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს და გააძლიეროს ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას სწავლის შედეგებისა და შეფასების განხილვის და გასაჩივრების შესახებ.
• სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს მედიცინის პროგრამის აფილირებული პერსონალის სახელფასო პოლიტიკას.
• სასურველია, კსუ-მ აცნობოს სტუდენტებს ფაკულტეტის საბჭოში წარმომადგენლის / მათი არჩევის უფლების, მათ შორის საარჩევნო პროცედურების და აღნიშნული უფლების მნიშვნელობის შესახებ.
• სასურველია, საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, კსუ-მ ჩაატაროს სტუდენტების მონაწილეობის მონაცემების საფუძვლიანი ანალიზი, გამოავლინოს კლების გამომწვევი ფაქტორები და მიიღოს მიზნობრივი ზომები აღნიშნული გამოწვევების გადასაჭრელად და აღნიშნული მიმართულებით შედეგების გასაუმჯობესებლად.
• სასურველია, უნივერსიტეტის გარეთ, პარტნიორ კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით ჩატარებული სამეცნიერო -კვლევითი პროექტების წახალისება და ერთობლივი კვლევითი საქმიანობის გაძლიერება. აღნიშნულმა პარტნიორობებმა სამომავლოდ შესაძლოა ხელი შეუწყონ მედიცინის სადოქტორო სკოლის დაარსებას.
• სასურველია, მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდეს სტუდენტების კვლევებში ჩართულობის, როგორც აკადემიური პროგრამების ნაწილის შესაძლებლობების, გაძლიერება. სასურველია,

სტუდენტების კვლევის შედეგი გამოყენებული იყოს, როგორც შესრულების ძირითადი ინდიკატორი, გაზომვადი მეტრიკებით, იმისათვის რომ, შეფასდეს რამდენად ეფექტურად აღწევს უნივერსიტეტი აღნიშნულ ძირითად მიზანს.

• სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სადოქტორო საბჭოს შექმნა, რომელიც ზედამხედველობას და კოორდინაციას გაუწევს უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლების საგანმანათლებლო საქმიანობას.

• სასურველია, შეზღუდული ინტერდისციპლინური და ინტერსექტორული თანამშრომლობა: მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტრატეგიული მიზნები ინტერდისციპლინური კვლევების ხელშესაწყობად, არსებობს წარმატებული
განხორციელების შეზღუდული მტკიცებულება. უფრო სტრუქტურირებული ინიციატივები და ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმები ხელს შეუწყობს სხვადასხვა ფაკულტეტსა და განყოფილებას შორის თანამშრომლობას.

• სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს მუშაობა კამპუსის სრულ ადაპტირებაზე და სრულ ადაპტირებამდე შექმნას ადაპტირებული და არაადაპტირებული სივრცეების გზამკვლევი ან რუკა;

• სასურველია, უნივერსიტეტმა ასევე გააგრძელოს მუშაობა სარეკრეაციო სივრცეების რაოდენობის გაზრდაზე და გამრავალფეროვნებაზე.

• სასურველია, უნივერსიტეტს კიდევ უფრო გაამლიეროს სამეცნიერო მონაცემთა ბაზების პოპულარიზაცია, რათა წაახალისოს ფართო გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოყენება ადეკვატური ჩანს.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 13 ნოემბერს, 11:49 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა